ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტი აცხადებს კონკურსს თსუ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის მაგისტრატურის I და II სემესტრის სტუდენტებისთვის სალერნოს უნივერსიტეტში (იტალია) გაცვლითი სტუდენტის სტატუსით ერთი სემესტრით სწავლის უფლების მოსაპოვებლად (2010/2011 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრი). მიმღები უნივერსიტეტის მიერ შემოთავაზებულია ინგლისურენოვანი სამაგისტრო პროგრამა „კვების ტექნოლოგიებში“.

კონკურსში მონაწილეობის მისაღებად აუცილებელი პირობაა ინგლისური ენის ცოდნა.
კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა უნდა წარმოადგინონ:

- ბიოგრაფია/CV (ქართულ და ინგლისურ ენებზე)
- მოტივაციის წერილი (ქართულ და ინგლისურ ენებზე, 3 ეგზემპლარად)
- აკადემიური მოსწრების ფურცელი (ქართულ ენაზე, დეკანატის ბეჭდითა და შესაბამისი ხელმოწერით დამოწმებული)
- ცნობა სტუდენტის სტატუსის შესახებ
- პასპორტის ასლი
- სასურველია ინგლისური ენის ცოდნის დამადასტურებელი დოკუმენტი

სალერნოს უნივერსიტეტის მიერ შემოთავაზებული ინგლისურენივანი სასწავლო კურსის შესახებ ინფორმაცია იხილეთ შემდეგ მისამართზე:**www.unisa.it**

მიმღები უნივერსიტეტი სტუდენტებს სთავაზობს მომსახურების შემდეგ პაკეტს:

- ერთთვიანი შესავალი კურსი იტალიურ ენაში
- უფასო სწავლა
- ოთახი საუნივერსიტეტო საერთო საცხოვრებელში
- კვების ტალონი

განაცხადების მიღების ბოლო ვადა:
2010 წლის 29 ოქტომბრის 12 საათი;
დაგვიანებული ან/და არასრული განაცხადები არ მიიღება

დამატებითი ინფორმაციის მისაღებად და საბუთების ჩასაბარებლად მიმართეთ ანი ჭელიშვილს საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტში;

მისამართი:
თსუ მეორე კორპუსი,
მეორე სართული,
ოთახი 237; ტელ: 25 02 12